

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/05

თბილისი

“ 24 “ იანვარი 2017 წ.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9, შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსის ჩატარების წესის 1 მუხლის და კერძო სამართლის კათედრის გამგის განცხადების საფუძველზე

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის 30 იანვარს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის ვადით დასაკავებლად კონკურსის შედეგების დამტკიცების დღიდან.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2017 წლის 01 მარტიდან 2017 წლის 10 მარტის ჩათვლით. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2017 წლის 20 მარტს. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (21, 22, 23 მარტი). კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2017 წლის 24 მარტს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 1 აკადემიური პერსონალი - 1 ასოცირებული პროფესორი.

სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის კათედრა

1 ასოცირებული პროფესორი

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, acadnux. – 12, 1,5 ინტერვალთ);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები)
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- მისი ხელმძღვანელობით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები(საბაკალავრო, სამაგისტრო)

4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.

6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.

7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.